სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

აგვისტო 2019

2019 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **151 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **230 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა აგვისტოში **75 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში **488 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 592 ლარი შეადგინა, აჭარაში - 461 ლარი, კახეთში - 398, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 390.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2019 აგვისტო, ლარი)



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის აგვისტოში, 2019 წლის ივლისთან შედარებით, 3.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.6%-ით გაიზარდა.

2019 წლის აგვისტოში, 2018 წლის აგვისტოსთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.4%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 5.3%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 3.1%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 აგვ/ 2019 ივლ	2019 აგვ/ 2018 აგვ	2019 აგვ/ 2019 ივლ	2019 აგვ/ 2018 აგვ	2019 აგვ/ 2019 ივლ	2019 აგვ/ 2018 აგვ
შიდა ქართლი	13.1%	13.4%			13.1%	13.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8.1%	15.6%	4.7%	-11.9%	9.0%	24.2%
სამცხე-ჯავახეთი	7.9%	3.0%	4.3%	-2.2%	10.4%	6.7%
თბილისი	4.1%	17.8%	4.2%	20.4%	3.9%	15.2%
მცხეთა-მთიანეთი	3.2%	-5.2%	5.0%	-8.5%	1.2%	5.7%
აჭარა	2.6%	-5.5%	-0.6%	-4.8%	7.8%	-6.7%
რაჭა	2.0%	23.7%			2.0%	23.7%
იმერეთი	-0.6%	-0.2%	-1.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%
კახეთი	-2.1%	1.5%	-3.2%	-5.2%	-1.7%	3.4%
გურია	-2.7%	6.0%	-0.6%	7.0%	-4.2%	5.2%
ქვემო ქართლი	-5.8%	-8.1%	-1.8%	-1.1%	-11.4%	-17.7%
სულ ფასების % ცვლილება	3.4%	-2.4%	2.0%	-5.3%	4.6%	3.1%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის აგვისტოში, 2019 წლის ივლისის ფასებთან შედარებით და 2018 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.